**ნიუ ვიჟენ**
დაზღვევა

| | |
|---|---|
| პოზიცია | ქოლ-ცენტრის ოპერატორი (საინფორმაციო ოპერატორი) |
| სამუშაო განაკვეთი | სრული |
| სამუშაოს აღწერილობა | დაზღვეული/პოტენციური კლიენტების შემოსული ზარების მომსახურება |

## ფუნქცია მოვალეობები:

- ქოლ-ცენტრში შემოსული ზარების მომსახურება / გადამისამართება
- შემოსული ზარების მონიტორინგი და რეპორტინგი
- ინფორმაციის პროგრამული ასახვა
- FACEBOOK გვერდზე შემოსულ შეტყობინებებზე პასუხი და შემოსული ინფორმაციის შესაბამისი პირისთვის მიწოდება
- კომპანიის დაზღვეულთა პრეტენზიების დაფიქსირება, შესაბამის პირთან გადამისამართება და უკუკავშირის დაბრუნება
- კომპანიის სხვადასხვა დეპარტამენტებთან კოორდინირებული მუშაობა

## საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

აუცილებელი:

- უმაღლესი განათლება
- ინგლისური / რუსული ენების საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა
- MS Office – ის ცოდნა

პიროვნულობა:

- მოტივირებული
- პასუხისმგებლიანი
- დეტალებზე ორიენტირებული
- კომუნიკაბელური
- გუნდური
- მოლაპარაკებების უნარი

სასურველი:

- მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, გადმოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე, შემდეგ მისამართზე: Vacancy@nvi.ge სათაურის ველში (subject) აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება. გისურვებთ წარმატებას!

ნიუ ვიჟენ
დაზღვევა

სადაზღვევო კომპანიის მიერ გამოცხადებულ წინამდებარე ვაკანსიაზე გამოხმაურების შემთხვევაში, თქვენ: ეთანხმებით, რომ სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“ უფლებამოსილია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, დასაქმების მიზნით, მოცულობითა და ვადით დაამუშაოს თქვენგან მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები; ადასტურებთ, რომ იცით თქვენი უფლება, მიიღოთ ინფორმაცია სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევას“ მიერ თქვენს შესახებ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა თაობაზე, ასევე, კანონით დადგენილი წესით, მოითხოვოთ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან/და განადგურება; ანიჭებთ სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევას“ უფლებას, თქვენი დასაქმების შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თქვენგან მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები*, შეინახოს და დაამუშაოს მათი მიღებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, დასაქმების შემდგომი შემოთავაზების მიზნით**.

* გარდა ნასამართლობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა (თუ ის მოთხოვნილი იყო), რაც განადგურდება თქვენი დასაქმების შესახებ დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისთანავე;

** 1 (ერთი) წლის განმავლობაში, სადაზღვევო კომპანიაში თქვენი დაუსაქმებლობის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლისთანავე, სრულად განადგურდება თქვენს შესახებ მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით არსებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები.